საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 19 ნოემბრის =67 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2014 წლის 19 ნოემბრის =67** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა:

1. განხორციელდეს სტუ-ის 2014 წლის 17 ოქტომბრის მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის სხდომის ოქმი №5-ის საფუძველზე ორი პროექტის (თესლის დაბალსიხშირულ მაგნიტურ ველში დამამუშავებელი მოწყობილობის შექმნა-დამზადება და ახალი ტიპის უნივერსალური სახარატო-საფრეზო-საკოპირე ხის დამამუშავებელი ჩარხის საწარმოებლად საპროექტო-საკონსტრუქტორო მუშა პროექტის დოკუმენტაციის დამუშავება) დაფინანსება ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ბიუჯეტის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან — **8 988** ლარით და შესყიდვების შესაბამისი მუხლიდან — 3 262 ლარით.

2. დამტკიცდეს სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვაში ცვლილება, კერძოდ: ხელფასის მუხლიდან 10 150 ლარი; ინტერნეტის მომსახურეობის ხარჯებიდან 230 ლარი; ბუნებრივი აირის ხარჯებიდან 63 ლარი; სულ ჯამში 10 443 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 19 ნოემბრის =67 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2014** წლის **19** ნოემბრის **=67** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტის შედგენის წესი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 19 ნოემბრის =67 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2014** წლის **19** ნოემბრის **=67** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალის მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალის მივლინების წესი და პირობები.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის **19** ნოემბრის **=67** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2014** წლის **19** ნოემბრის **=67** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პრემიისა და ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

სენატმა დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პრემიისა და ფინანსური დახმარების გაცემის წესი;
2. ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დაინტერესებულ სამსახურებთან ერთად, შეიმუშაოს დანამატის დანიშვნის წესი და განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინოს სენატს 1 თვის ვადაში.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 19 ნოემბრის =67 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2014** წლის **19** ნოემბრის **=67** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის გასაიჯარებელი ფართობების შესახებ.

სენატმა დაადგინა: სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიეცეს თანხმობა სტუ-ის გასაიჯარებელი ფართობების შესახებ, კერძოდ:

1. 61-ე სკოლისათვის თხოვების ფორმით გადაცემულ კოსტავას 71-ში მდებარე სტუ-ის მე-7 კორპუსის მე-3 სართულის ფოიეში არსებული 5 m^2 და მე-4 სართულის ფოიეში არსებული 5 m^2 ფართობები სარგებლობის უფლებით, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით;
2. სტუ-ის პირველი კორპუსში მე-4 სართულზე 6.2 m^2 ფართობი, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსში მე-4 სართულზე არსებული 30 m^2 და ამავე კორპუსის მე-5 სართულზე არსებული 50 m^2 ფართობები, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით;
4. ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციას კანონით დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 19 ნოემბრის =67 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2014 წლის 19 ნოემბრის =67** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. გია არაბიძის წინადადების — ფაკულტეტის სპეციალისტების სპეციფიკური სამუშაო გრაფიკის შედგენის უფლებამოსილების, ფაკულტეტების დეკანებზე დელეგირების განხილვის შესახებ.

სენატმა დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანს, პროფ. გია არაბიძეს ფაკულტეტის სპეციალისტების სპეციფიკური სამუშაო გრაფიკით დასაქმების შესახებ;
2. მიეცეს რეკომენდაცია სტუ-ის დანარჩენი ფაკულტეტების დეკანებს თავად განსაზღვრონ, ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სპეციალისტების შესაბამისი სამუშაო გრაფიკი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 19 ნოემბრის =67 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2014** წლის **19** ნოემბრის **=67** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ფაკულტეტების საშტატო განრიგებში, აკადემიური პერსონალის ნაწილში, ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს ცვლილებები სტუ-ის ფაკულტეტების საშტატო განრიგების აკადემიური პერსონალის ნაწილში წარმოდგენილი სახით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 19 ნოემბრის =67 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2014** წლის **19** ნოემბრის **=67** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი 2014-2015 სასწავლო წლისათვის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სახელფასო ანაზღაურების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ნოემბრის დადგენილება №1330.

სენატმა დაადგინა:

1. **2014-2015** სასწავლო წლიდან სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი გადავიდეს აკადემიური პერსონალის სახელფასო ანაზღაურების საუნივერსიტეტო მოდელზე:
   - პროფესორი (400 სთ) –1200 ლარი;
   - ასოცირებული პროფესორი (400 სთ) – 900 ლარი;
   - ასისტენტ პროფესორი (400 სთ) –670 ლარი.
2. ანაზღაურების დადგენილი წესი ძალაში შევიდეს მიმდინარე წლის პირველი ნოემბრიდან.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 19 ნოემბრის =67 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2014** წლის **19** ნოემბრის **=67** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტო-სატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისა და დგომის შეზღუდვის შესახებ.

სენატმა დაადგინა:

1. მოწონებულ იქნეს შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სტუ-ის ადმინისტრაციულ კორპუსთან ავტომობილების განთავსების წესი;
2. ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უზრუნველყოს წესის ამოქმედებისათვის გასატარებელი ღონისძიებები;
3. ეთხოვოს სტუ-ის დაცვისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსს დადგენილი წესების დაცვაზე კონტროლის უზრუნველყოფა.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის **19** ნოემბრის **=67** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2014** წლის **19** ნოემბრის **=67** სხდომაზე სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. გოჩა მიქიაშვილმა წარმოადგინა საკითხი დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის 2013 წლის 12 ნოემბრის №01-10/676 წერილის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 13 ნოემბრის დადგენილება №1004.

სენატმა დაადგინა: გათვალისწინებულ იქნეს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, ბატონ მუხრან გულაღაშვილის თხოვნა და თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები: მუჰამედ არსლანი (სამშენებლო ფაკულტეტი, სწავლების მესამე წელი, ჯგუფი №1125), იაშარ ქაან ჩები (არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, სწავლების მეორე წელი, ჯგუფი №6204), მაჰმუდ ქაან გუნალი (არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, სწავლების მეორე წელი, ჯგუფი № 6206) და უმით გეზგიჩი (ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, სწავლების მეორე წელი, ჯგუფი №2262) გათავისუფლდნენ სწავლის გადასახადისაგან სწავლების გეგმური ვადის განმავლობაში.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 19 ნოემბრის =67 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =11

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2014** წლის **19** ნოემბრის **=67** სხდომაზე სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. რუსუდან ქუთათელაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ზოგიერთი სტუდენტის სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით. სტუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებები: №1077; 1081; 1086; 1088; 1138; 1188; 1216; 1232.

სენატმა დაადგინა: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანს სტუდენტებისთვის გაავრცელოს შეღავათები სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით სტუ-ის აკადემიური საბჭოს №1077; 1081; 1086; 1088; 1138; 1188; 1216; 1232 დადგენილებების თანახმად.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 19 ნოემბრის =67 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =12

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2014 წლის 19 ნოემბრის =67** სხდომაზე ბატონმა მერაბ ჭირაქაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის საინოვაციო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 ოქტომბრის დადგენილება №1321.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის საინოვაციო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის **19** ნოემბრის **=67** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =13

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2014** წლის **19** ნოემბრის **=67** სხდომაზე პროფ. ირაკლი გაბისონიამ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე ,,იურიდიული დახმარების სტუდენტური ცენტრის" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ნოემბრის დადგენილება №1331.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე ,,იურიდიული დახმარების სტუდენტური ცენტრის" შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 19 ნოემბრის =67 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =14

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2014 წლის 19 ნოემბრის =67** სხდომაზე სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. რუსუდან ქუთათელაძემ წარმოადგინა საკითხი პროფ. იგორ კვესელავასთვის ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე.

სენატმა დაადგინა: გაეწიოს ფინანსური დახმარება ორი თვის ხელფასის ოდენობით სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე პროფ. იგორ კვესელავას.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე